ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 1326139001**

თარიღი:**19/05/2026**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის „ა'' ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით - აღნაგობის ფორმით, 3 წლის ვადით, გადასცეს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო'' - ს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, კერძოდ, ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ სხვილისში („ფარეხა“) არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტები (ს/კ 62.08.53.249), მუნიციპალური თავშესაფრის მშენებლობის მიზნით.

საფუძველი - სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო'' - ს 2026 წლის 27 აპრილის N06-122611799-12 (27.04.2026წ N 09/4379) და 29 აპრილის N 06-122611966-12 (29.04.2026წ N 09/4482) მომართვები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი